



TBILISI HUMANITARIAN
TEACHING UNIVERSITY

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
სამართლის ფაკულტეტის სხდომის
ოქმი № 16 / 2017

02 დეკემბერი 2017 წ.

თბილისი

სხდომის დაწყების დრო: 18.00
სხდომის დასრულების დრო: 18.40

სხდომას ესწრებოდნენ:

- | | |
|----------------------------------|-----------------------------------|
| 1. პროფ. კახი ყურაშვილი; | 8. უფრ. მასწ. ლალი ფაფიაშვილი; |
| 2. პროფ. თამარ ჩიტოშვილი; | 9. უფრ. მასწ. ნინო ნიჟარაძე; |
| 3. პროფ. არჩილ ლორია; | 10. უფრ. მასწ. მაია კოპალეიშვილი; |
| 4. პროფ. ლელა ნადიბაძე; | 11. უფრ. მასწ. შალვა ქურდაძე; |
| 5. პროფ. მაკა სალხინაშვილი; | 12. სტუდენტი: ალექსანდრე კუჭავა; |
| 6. ასოც. პროფ. დავით გეფერძე; | 13. სტუდენტი: იაგო შაკაია |
| 7. ასოც. პროფ. მანანა ხვედელიძე; | |

ქვორუმი: 11

სხდომის თავმჯდომარე: პროფ. კ. ყურაშვილი

სხდომის მდივანი: ე. ირემაძე

დღის წესრიგი:

1. თჰუ სამართლის ფაკულტეტის სტუდენტის ილია ჭუნიაშვილის სტატუსის აღდგენის შესახებ. (მომხ. პროფ. კ. ყურაშვილი);
2. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქის მიაილ ქარიმოვის სამართლის ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტად ჩარიცხვის თაობაზე (მომხს. პროფ. კ. ყურაშვილი).

1. მოისმინეს:

თჰუ სამართლის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ კახი ყურაშვილის ინფორმაცია, რომ „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესების“ მე-4 მუხლისა და პირადი განცხადების საფუძველზე სტატუსის აღდგენა სურს ილია ჭუნიაშვილს;

აზრი გამოთქვა: ნ. ნიჟარაძემ, რომელმაც უარი განაცხადა სტატუსის აღდგენის მხარდაჭერაზე.
საბჭომ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს: მომხრე - 12, წინააღმდეგი - 1.

გადაწყვიტეს:

1. აღუდგეს სტუდენტის სტატუსი ილია ჭუნიაშვილს – 2017 წლის 02 დეკემბრიდან, სამართლის ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე;
2. ეთხოვოს თჰუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა;
3. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თჰუ ვებ-გვერდზე;

2. მოისმინეს: სამართლის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ კახი ყურაშვილის ინფორმაცია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 10 ნოემბრის № 989 ბრძანების საფუძველზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით თჰუ სამართლის ფაკულტეტზე სწავლის უფლება მიეცა აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეს მიქაილ ქარიმოვს (პასპორტი AZE 17079937), რომელმაც 2017 წელს დაამთავრა ქ. ბაქოს სურახანის რაიონის № 226 სრული საშუალო სკოლა. მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და პირადი განცხადებების საფუძველზე მიზამშეწინილია იგი ჩაირიცხოს თჰუ სამართლის ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე, თუ ჩააბარებს სწავლების ენაში გამოცდას ან სხვაგვარად დაადასტურებს სწავლების ენის ფლობას.

აზრი გამოთქვა: პროფ. ა. ლორიამ

კრწისყრის შედეგები: დაეთანხმა 9 წევრი, წინააღმდეგია 4 - კ. ყურაშვილი, თ. ჩიტოშვილი, ნ. ნიჟარაძე, ი. შაკაია.

გადაწყვიტეს:

1. ჩაირიცხოს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე მიქაილ ქარიმოვი (პასპორტი AZE 17079937) სამართლის ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტად 0 კრედიტის აღიარებით და სწავლების ენის ფლობის წინასწარი დადასტურების პირობით;
2. მიქაილ ქარიმოვს გაუფორმდეს საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება ბრძანების გამოცემიდან 7 დღის ვადაში.
3. უზრუნველყოს თჰუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანმა ამ სტუდენტების ჩარიცხვის შემდეგ სწავლების ენაში მათი გამოცდის ორგანიზება საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში; სტუდენტს რომელიც გამოცდის ვერ ჩააბარებს, შეუჩერდეს სტუდენტის სტატუსი 1 სემესტრის მანძილზე, სწავლების ენის ინტენსიური კურსის (60 კრედიტიანი) გავლის შესაძლებლობის მიცემის მიზნით;
4. ეთხოვოს თჰუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა;
5. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თჰუ ვებ-გვერდზე.

თავმჯდომარე :

მდივანი: *ე. ირემაძე*



კ. ყურაშვილი

ე. ირემაძე